ოქმი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი

2018 წლის 26 სექტემბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია

2. ნიკოლოზ ვეკუა

3.იგორ გოგოლაძე

4.გოჩა ჯობავა

5.გენადი ქაძანაია

6.აკაკი ხურცილავა

7.გოჩა სიჭინავა

8.შადიმან ჭილაია

9.კონსტანტინე ნასარაია

10.მერაბ ნადარაია

11.კახა ლატარია

12.დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N05/4027 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე

თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ საკითხს

კენჭისყრის შედეგები:

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის შემადგენლობის 14 წევრიდან 12 წევრი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 25 სექტემბრის N05/4027 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიაში შევიდა შპს „მაგთიკომიდან“ წერილი ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში არსებული გარე განათების ბოძებზე მაგთიკომის ინტერნეტისა და ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით იჯარის გაფორმების თაობაზე.

ხობის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „მაგთიკომს“ მიეცეს თანხმობა ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 615 ბოძი გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით და წლიური საიჯარო ქირა აუდიტის დასკვნის საფუძველზე განისაზღვროს

12 30 ლარის ოდენობით, რაც თითოეულ ბოძზე საშუალოდ შეადგენს 2 (ორ) ლარს.

კომისიის წევრების მხრიდა საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა. აღინიშნა, რომ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტ:

კენჭისყრის შედეგები: სხდომას ესწრებოდა კომისიის შემადგენლობის 14 წევრიდან 12 წევრი.

მომხრე: 12 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დამთავრების შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: (ვ. ქანთარია)